



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 51

05/08/2015

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული ბადრი ბასილაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში გამირულად დაიღუპა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში მცხოვრები, საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების კაპრალი ბადრი ბასილაძე, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილით მომართა სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, რომლითაც წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს ინიციატივა სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლისათვის 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული, სოფელ ჭოგნარის მკვიდრის ბადრი ბასილაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებისა და სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 13 მაისის წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომ სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლას მიენიჭოს 2008 წლის აგვისტოს ომში, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამირულად დაღუპული, საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების კაპრალის **ბადრი ბასილაძის** სახელი.

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 7) კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ ჩუბინიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო